დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია თოიძე

წევრები:

ელისო ლოლაშვილი - მერებაშვილი

ბარბარე გონაშვილი

1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

(*ქალაქი, წელი)*

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯში ვიზიტის შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის №MES 3 21 0001115764 ბრძანების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, სსიპ განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №408413 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-15 მუხლის მე-7, მე-8 და მე- 9 პუნქტებით განსაზღვრული ფუნქციებისა და ცენტრსა და ექსპერტებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად, ფუნქცია-მოვალეობების ნაწილი განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, მათ შორის პრაქტიკის ობიექტის შეფასება განხორციელდა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში, ქ. რუსთავში. კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

ა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, გაანალიზდა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია. ასევე, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოთხოვილი და გაანალიზებული იქნა კოლეჯის მიერ დამატებით მოწოდებული დოკუმენტაცია;

ბ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ვიზიტის განრიგის შესაბამისად (იხ. დანართი №1), 2021 წლის 08 – 09 დეკემბერს განხორციელდა ვიზიტი დაწესებულებაში, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ვიზიტის პროცესში შედგა ინტერვიუ კოლეჯის დამფუძნებლებთან, მათ შორის, დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტთან, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის სპეციალისტთან, IT სამსახურის სპეციალისტთან, ბუღალტერთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საფინანსო სერვისები“ ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ დარგობრივი მოდულების მასწავლებლებთან.

გ. 2021 წლის 10 დეკემბერს, კოლეჯის მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესაბამისობის, მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,საფინანსო სერვისები“ მატერიალურ და სასწავლო რესურსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განხორციელდა ვიზიტი ქ. რუსთავში. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის №MES 3 21 0001115764 ბრძანებაში შესული ცვლილების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი, დარგის ექსპერტი ბარბარე გონაშვილი, ქ. რუსთავში ვიზიტის პროცესში ჩაერთო დისტანციურად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

(ქალაქი, წელი)

ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა. განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე - შპს ,,ფენიქსი“. შედგა ინტერვიუ ობიექტის მენეჯერთან. დარგის ექსპერტმა ინტერვიუ წარმართა დისტანციურად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებით კოლეჯი ყველა სტანდარტთან მიმართებაში შეფასებული იყო როგორც ,,სრულად შესაბამისი“. წარმოების პროცესში კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმები მეხუთე სტანდარტის 5.1. კომპონენტთან (ინდიკატორი - 5.1.2 (1) და მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტთან (2.2.1 (1) მიმართებაში. შესაბამისად, მე-5 სტანდარტის 5.1 და მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტები ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“. ამასთან, ავტორიზაციის დებულების შესაბამისად, მეხუთე სტანდარტი შეფასებულია როგორც ,,სრულად შესაბამისი“.

წარმოების ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები. ყველა რეკომენდაცია დაწესებულებისათვის შეთავაზებული იყო ვიზიტის მიმდინარეობის დროს. დაწესებულებამ გამოვლინა მიმღებლობა რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ზოგადად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი.

ექსპერტთა საბოლოო შეფასებები წარმოდგენილია ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობისა (III ნაწილი) და პროგრამის - ,,საფინანსო სერვისები“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის (X ნაწილი) ცხრილების სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

სტანდარტი/კომპონენტი	**შეესაბამება**	**მეტწილად შეესაბამება**	**ნაწილობრივ შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა.

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები

5.1.2 (1) - დაწესებულებამ მის მიერ შემუშავებული შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს დაწესებულების უსაფრთხოების ზომებთან შესაბამისობაში მოყვანა.

2.2.1 (1) დაწესებულებამ მის მიერ შემუშავებული შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს მოდულური პროგრამის ,,საფინანსო სერვისები" სატესტო (სასწავლო) საბანკო პროგრამით უზუნველყოფა.

განმავითარებელი რეკომენდაციები:

I სტანდარტთან მიმართებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

1.2.1 (2) რეკომენდებულია სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის მონიტორინგი განხორციელდეს წელიწადში მინიმუმ ორჯერ, რათა დაწესებულებამ დროული რეაგირება მოახდინოს მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებულ შესაძლო შეფერხებებზე რათა მოხდეს დროული ჩარევა და უზრუნველყოფილი იქნას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა.

1.2.1 (3) რეკომენდებულია კოლეჯმა სამოქმედო გეგმაში აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებლად განსაზღვროს კონკრეტული პირი, ხოლო სხვები განისაზღვროს როგორც ჩართული, შემსრულებელი მხარეები. აქტივობათა ფორმულირება გახდეს მეტად კონკრეტული და გაზომვადი.

III სტანდარტთან მიმართებით

3.1.1. (1; 5) რეკომენდებულია კოლეჯმა უზრუნველყოს იმ დოკუმენტთა ოპტიმიზაცია, რომლებითაც მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე საკითხებია დარეგულირებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფასთან, ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით;

IV სტანდარტთან მიმართებით

4.1.1. (1) კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების ოპტიმიზაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

4.2.1 (1) რეკომენდებულია კოლეჯმა დანერგოს ადმინისტრაციული პერსონალის თვითშეფასების კულტურა საკუთარ ფუნქცია - მოვალეობებთან მიმართებაში და თვითშეფასების შედეგები გაითვალისწინოს შესაბამისი ადამიანური რესურსი განვითარების დაგეგმვისას.

V **სტანდარტთან მიმართებით**

5.2.2. (1) რეკომენდებულია ყველა ბრძანებას ჰქონდეს საკონსტატაციო ნაწილი სადაც გადმოცემული იქნება ბრძანების გამოცემის მიზანი და ამოცანა და თუკი მისი გამოცემის საფუძველს წარმოადგენს სხვა საკანონმდებლო სამართლებრივი აქტი საკონსტატაციო ნაწილში ისიც აისახოს.

ტექნიკური უზუსტობებთან დაკავშირებით

- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს დოკუმენტებში არსებული ტექნიკური უზუსტობები (დეტალურად იხილეთ დასკვნის ღწერილობითი ნაწილი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

VIII. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მისია, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 იანვრის №6 ბრძანებით. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების გაცხადებული მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. კოლეჯის მისიაა ,,განახორციელოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული ბიზნესისა და მომსახურების პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო, ასევე, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, დასაქმებასა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას“. მისია შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში. კერძოდ მისიაში ჩანს, რომ დაწესებულება ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალკონკურენტიანი კადრების მომზადება ბიზნესისა და მომსახურების მიმართულებებით. აქცენტი გაკეთებულია ზოგადად ქვეყანაში, კონკრეტულად კი ქვემო ქართლში შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დანერგვაზე, დასაქმების ხელშეწყობასა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე. კოლეჯი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად, გეგმავს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებას, რომლებიც, დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

3. კოლეჯის ხედვა და ღირებულებები წარმოდგენილია როგორც კოლეჯის 2021-2027 სტრატეგიული განვითარების გეგმის განუყოფელი ნაწილი. კოლეჯის ხედვა ფორმულირებულია შემდეგი სახით: ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი არის მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს პროფესიული განათლების მრავალფეროვან სერვისებს“. კოლეჯის ღირებულებებია: გამჭვირვალეობა, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალეობა, თანამშრომლობა და განვითარება.

კოლეჯის დირექტორთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მაღალი ნდობისა და აღიარების მოპოვებას დაწესებულება გეგმავს არა მხოლოდ პროფესიული განათლების მრავალფეროვანი სერვისებით, რაშიც მოაზრებული აქვთ სხვადასხვა ტიპის პროგრამების განხორციელება, არამედ გეგმავენ წარმატებული და მოწყვლადი ჯგუფის პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერას, მათ შორის, გათავისუფლებას სწავლის საფასურისაგან ან შეღავათის დაწესებას საფასურზე, სტუდენტური საცხოვრებლით უზრუნველყოფას. საჭიროების შემთხვევაში, საცხოვრებლით მხარდაჭერას მიიღებენ პროგრამის განმახორციელებლებიც. რაც შეეხება, ხედვის მიღწევის პერიოდს, დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

განმარტებით ხედვა დამტკიცებულია სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან ერთად და შესაბამისად, დაგეგმილია შვიდი წლის პერიოდში ნელ- ნელა, ეტაპობრივად უზუნველყონ მისი რეალიზაცია და პროგრამების დამატებისას აქცენტებს გააკეთებენ მოთხოვნად, მაგრამ ისეთ პროგრამებზე რომლებსაც რეგიონში სხვა კოლეჯები არ ახორციელებენ.

4. კოლეჯის მისია შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. მტკიცებულებად წარმოდგენილია ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის“ სამუშაო ჯგუფის 2021 წლის 18 იანვრის №1 სხდომის ოქმი. მისიის საბოლოო რედაქცია დამტკიცებულია 2021 წლის 29 იანვარს და შესაბამისი ბრძანებით (ბრძ. №6; 29.01.2021) განსაზღვრულია მისიის საჯაროობაზე პასუხისმგებელი პირი.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა მათი ჩართულობა მისიის შემუშავების პროცესში. მისია გაზიარებულია მათ მიერ. თუმცა არ გამორიცხავენ, რომ სამომავლოდ შესაძლებელია მისია გადაიხედოს. კერძოდ, გააზრებულია პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა განათლების მიმართულებითაც. დამფუძნებელი ფლობს საბავშვო ბაღს. თუმცა ვინაიდან ,,აღმზრდელის“ პროგრამა არის მეხუთე დონის, თვლის რომ ამ ეტაპზე არ გააჩნდათ საკმარისი მზაობა და სამომავლოდ ამ მიმართულებითაც განვითარდებიან, რადგან შრომის ბაზარზე არის შესაბამისი კადრების მოთხოვნა.

მისია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე (GC.edu.ge) და ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

13

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის მისიის დამტკიცების შესახებ“ შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 იანვრის №6 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის (2021-2027)და 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის №8 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის“ სამუშაო ჯგუფის 2021 წლის 18 იანვრის №1 სხდომის ოქმი მისიის შემუშავებასთან დაკავშირებით;
- კოლეჯის ვირტუალური სივრცის დათვალიერების შედეგი: კოლეჯის ვებ -გვერდზე https://gc.edu.ge განთავსებული დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათ შორის, მისიის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ჯგუფთან ინტერვიუს შედეგი;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს იაკობ გოგებაშვილის ქართულ კოლეჯს შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიები, რომლებიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 თებერვლის №7 და 2021 წლის 02 მარტის №8 ბრძანებებით.

კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს კონვენციური და ორგანული სტრატეგიული დაგეგმარების პრინციპებისა და SWOT და PESTEL მეთოდოლოგიების გამოყენებას. აღნიშნულით დაწესებულება აცხადებს მზაობას მისი საქმიანობა იყოს პროგნოზირებადი, თანმიმდევრულად განახორციელოს დაგეგმილი საქმიანობები, თუმცა ამავე დროს უნდა უპასუხოს ცვალებადი გარემო პირობებით შექმნილ გამოწვევებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

დაგეგმვისას გაითვალისწინოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები და გაანალიზოს გარემოდან მომდინარე შესაძლებლობები და საფრთხეები.

კოლეჯის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. დოკუმენტურ მტკიცებულებებთან ერთად, აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუირების დროსაც. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ. სტრატეგიული დაგეგმვისას, SWOT ანალიზის ფარგლებში, შეფასებულია კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეები, იდენტიფიცირებულია შესაძლებლობები და საფრთხეები.

ამასთან, წარმოდგენილ ანალიზის დოკუმენტში არის ცალკეული მეთოდოლოგიური უზუსტობები. მაგალითად: დაწესებულების მიერ საკუთარ ძლიერ მხარედ მიჩნეულია საქართველოში განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები პროფესიული განათლების განვითარების მიზნით, ან კიდევ, განვითარების შესაძლებლობებად მიჩნეულია კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან „რეინვესტიციის“ მიღებისათვის ქმედითი მექანიზმების შემუშავება, ვებ-გვერდისა და საკომუნიკაციო საშუალებების გაუმჯობესება, რაც რეალურად ამოცანები უფროა ვიდრე განვითარების შესაძლებლობები. ***შესაბამისად, რეკომენდებულია, დაწესებულებამ SWOT ანალიზში გაასწოროს არსებული უზუსტობები.***

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის №8 ბრძანებით სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმასთან ერთად დამტკიცებულია კოლეჯის 2022 წლის სამოქმედო გეგმა. 2021 წლის გეგმა კოლეჯის მიერ ცალკე დოკუმენტად არ არის დამტკიცებული. თუმცა, სტრატეგიული განვითარების გეგმაში პირველ, ცენტრალურ ამოცანად არის განსაზღვრული მზადება ავტორიზაციისთვის, თვითშეფასების წარდგენა სსიპ-განათლების ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

განვითარების ეროვნულ ცენტრში. და ჩამოყალიბებულია 2021 წელს განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, რომლებიც დაკავშირებულია ავტორიზაციის მოპოვების პროცედურასთან.

კოლეჯის დირექტორის მიერ ცალკე დოკუმენტადაა დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მიზანია ნათლად აჩვენოს დაწესებულებას სად აქვს სუსტი მხარე და საით მიმართოს ყურადღება ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით მონიტორინგის ჯგუფის შექმნას, გათვალისწინებულია: შესაფასებელი აქტივობები, კვლევის მეთოდები, შეფასების ინდიკატორები, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პერიოდი, ჩამოყალიბებულია მონიტორინგის დასკვნასა და შეფასების ანგარიშში სავალდებულოდ წარმოსადგენი ინფორმაცია. მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს თანამშრომელთა ყოველწლიურ ანგარიშგებას და დამტკიცებულია ანგარიშგების ფორმა.

ექსპერტთა მოსაზრებით, რეკომენდებულია სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის მონიტორინგი განხორციელდეს წელიწადში მინიმუმ ორჯერ, რათა დაწესებულებამ დროული რეაგირება მოახდინოს მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებულ შეფერხებებზე რათა მოხდეს დროული ჩარევა და უზრუნველყოფილი იქნას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და თანამშრომელთა ინტერვიუირებით დგინდება, რომ სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს რეგიონის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს. კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(*ქალაქი, წელი)*

- კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კოლეჯის გრძელვადიან ხედვასა და სტრატეგიულ დაგეგმარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.
- სტრატეგიული დაგეგმვისას დაწესებულებამ ისარგებლა დოკუმენტით ,,ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია“, რომელშიც გაანალიზებულია რეგიონის ეკონომიკური განვითარების დინამიკა და გამოკვეთილია ცალკეულ სექტორთა განვითარების დადებითი ტენდენციები.
- სტრატეგიული დაგეგმარების მიზნით დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნა სამუშაო ჯგუფის შექმნა. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის 2021 წლის 28 იანვრის №2, 2021 წლის 05 თებერვლის №3, 2021 წლის 02 მარტის №4 სხდომის ოქმებით დასტურდება სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიების, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება.
- კოლეჯის თანამშრომლებთან ინტერვიუს პროცესში დადასტურდა მათი ჩართულობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.
- კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ისინი განთავსებულია კოლეჯის ვებ - გვერდზე.

3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის №8 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის 2021=2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2022 წლის სამოქმედო გეგმა.

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია მისიასთან თავსებად მიზნები, ამ მიზნების შესაბამისად ჩამოყალიბებულია ამოცანები, განხორციელების ვადები, განსახორციელებელი აქტივობები, განმახორციელებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

სტრუქტურები, მოსალოდნელი შედეგები/შესრულების ინდიკატორები. სტრატეგიული გეგმით, ასევე, განსაზღვრულია მონიტორინგზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან პირი.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია: განსახორციელებელ აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები, მათ შორის, ფინანსური რესურსი. ამასთან, სამოქმედო გეგმაში ყველა აქტივობის გასწვრივ დაფიქსირებულია ფინანსური რესურსის საჭიროება, რაც დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს. ***შესაბამისად, მიეცათ რეკომენდაცია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით.***

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმაში ცალკეულ აქტივობებთან მიმართებაში პასუხისმგებლად განსაზღვრულია ორი, ზოგჯერ კი სამი სტრუქტურული ერთეული და პირი, რაც ექსპერტთა მოსაზრებით, განხორციელების პროცესში ვერ იქნება ეფექტიანი. შესაძლოა შეაფერხოს კიდეც პროცესები. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯის სამოქმედო გეგმის ფორმატი ითვალისწინებს შემსრულებელთა მითითებასაც. ასევე, სამოქმედო გეგმაში აქტივობათა შესრულების პერიოდად მითითებულია იანვარი-დეკემბერი ან აპრილი -სექტემბერი პერიოდი. ექსპერტების მოსაზრებით, აქტივობის შესასრულებელ პერიოდად სრული წლის მითითება არაეფექტიანია და საჭიროებს გადახედვას. ასევე, გადასახედია აქტივობათა ფორმულირებაც, საჭიროა მეტი კონკრეტიკა, რათა ინდიკატორები იყოს გაზომვადი.

რეკომენდებულია კოლეჯმა სამოქმედო გეგმაში აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებლად განსაზღვროს კონკრეტული პირი, ხოლო სხვები განისაზღვროს როგორც ჩართული, შემსრულებელი მხარეები. აქტივობათა ფორმულირება გახდეს მეტად კონკრეტული და გაზომვადი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 თებერვლის №7 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის №9 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის (2021-2027)და 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის №8 ბრძანება;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სამუშაო ჯგუფის 2021 წლის 28 იანვრის №2, 2021 წლის 05 თებერვლის №3, 2021 წლის 02 მარტის №4 სხდომის ოქმები;
- სამუშაო ჯგუფის წევრებთან და კოლეჯის თანამშრომლებთან ინტერვიუს შედეგი;
- კოლეჯის ვებ - გვერდის დათვალიერების შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი თვითშეფასებით კოლეჯი ადასტურებს თავის მზაობას თავისი საქმიანობა განახორციელოს მის მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად.
2. კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისა დაც შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს შეფასების შედეგებზე შესაბამის უკუკავშირს.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი თვითშეფასებით კოლეჯი ადასტურებს თავის მზაობას თავისი საქმიანობა განახორციელოს მის მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად, რომ ექნება სათანადო რეაგირება დაინტერესებული მხარეების მხრიდან უკუკავშირის შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

3. კოლეჯის თვითშეფასებით და დირექტორთან ინტერვიუს შედეგით დასტურდება, რომ კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ ანგარიში განთავსდება დაწესებულების ვებგვერდზე და საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილზე ყველა დაინტერესებული პირისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის №9 ბრძანება;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სამუშაო ჯგუფი 2021 წლის 02 მარტის №4 სხდომის ოქმი;
- დაწესებულების თვითშეფასება;
- დირექტორთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

22

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. **პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: \

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

1. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც არეგულირებს შემდეგ საკითხებს: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა, შიდა და გარე მობილობა, მიღებული ფორმალური განათლების აღიარება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების პროცედურა, პროფესიული სტუდენტის უფლება- მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. კოლეჯის რეგულაცია შესაბამისობაშია ზემოაღნიშნული უფლებების ნაწილში კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, კერძოდ: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი შესაბამისობაშია ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან, ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს და განათლების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №41/ნ, ,,პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ და ,,ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის №121/ნ ბრძანებებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ***ამასთან, დოკუმენტში არის რამდენიმე ტექნიკური შეცდომა ტერმინების დონეზე (მაგალითად, გამოყენებულია ტერმინები: პროფესიული განათლების საფეხური, პროფესიული დიპლომი) და დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები.***

24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთან, მათ შორის არასრულწლოვან პირთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. კოლეჯში ჩარიცხვისათვის წარმოსადგენ დოკუმენტაციასთან მიმართებაში გათვალისწინებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების საკითხები.

გარდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 მარტის №10 ბრძანებით დამტკიცებულია ეთიკის კოდექსი, სადაც ეთიკის ნორმებთან ერთად გაწერილია დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის პოლიტიკა. გათვალისწინებულია, რომ პროფესიული სტუდენტის მიმართ დევნა უნდა იყოს მართლზომიერი და გადაწყვეტილებას აღნიშნულის თაობაზე ღებულობს დისციპლინური კომისია.

პროფესიული სტუდენტის უფლებებთან დაკავშირებით კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულია კიდევ ერთი ბრძანება (№28; 24.05.2021), რომლითაც დამტკიცებულია კოლეჯის პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესები დაცვის მექანიზმები. სასწავლო პროცესის მარეგულირებლით განსაზღვრული უფლებების გარდა, აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების უფლება ჩამოაყალიბონ სტუდენტური გაერთიანება და სტუდენტთა უფლებების დაცვის მიზნით შეიმუშაონ და წარუდგინონ კოლეჯის დირექტორს კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები კოლეჯში მმართველობის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ექსპერტთა მოსაზრებით, ერთი და იმავე საკითხების რეგულაციისათვის არ არის მიზანშეწონილი დუბლირებული დოკუმენტების არსებობა. ორგანიზაციის ადმინისტრირების, შესაბამისი მექანიზმების დანერგვაზე, კერძოდ, პროფესიული სტუდენტების ინფორმირებაზე პასუხისმგებელ პირთა საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

რეკომენდებულია კოლეჯმა უზრუნველყოს იმ დოკუმენტთა ოპტიმიზაცია, რომლებითაც მეტ- ნაკლებად ერთი და იგივე საკითხებია დარეგულირებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებით პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმი. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის - ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესები დაცვის მექანიზმები“ მიხედვით, პროფესიული სტუდენტი კოლეჯთან ხელშეკრულების გაფორმებისას ეცნობა თავის უფლებებს. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლები სტუდენტებს აწვდიან შესაბამის ინფორმაციას. სტუდენტებს, ასევე, ეძლევათ კონკრეტული სასწავლო წლისათვის შემუშავებული „გზამკვლევი“, რომელშიც გაწერილია სტუდენტისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სტუდენტები იღებენ განმარტებებს ხელშეკრულების თაობაზე, რომელშიც ასახულია პროფესიული სტუდენტისა და კოლეჯის უფლება-მოვალეობები. გზამკვლევი გამოქვეყნებულია კოლეჯის ვებ - გვერდზე.

უფლებებისა და ინტერესების თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დარეგულირებულია პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუშითაც. ხელშეკრულების მიხედვით, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, კოლეჯის შინაგანაწესი, კოლეჯის ეთიკის კოდექსი და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ ხელშეკრულების ხელმოწერისას იცნობს მათ შინაარსს და ეთანხმება, ხოლო კოლეჯი იღებს ვალდებულებას, რომ მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის ვებ-გვერდზე ან/და კოლეჯის შენობაში საჯარო ადგილას გამოქვეყნებით.

მარეგულირებელი დოკუმენტები გამოქვეყნებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემასთან დაკავშირებით პროფესიული სტუდენტების ინფორმირების შემდეგი სახის მექანიზმი: კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების დებულების მიხედვით, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხოლო, კონკრეტულად მიღებულ შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელი, შეფასების თარიღიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. ინფორმაციის მიწოდება შეიძლება მოხდეს პირისპირ ან წერილობით. ჯგუფისთვის შეფასების შედეგების მიწოდება, პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული სტუდენტებისგან წინასწარ მოიპოვებს თანხმობას.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გასაჩივრების მექანიზმს. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს მიღებული უარყოფითი შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადებით. რეგულაციით განსაზღვრულია სააპელაციო დროებითი კომისიის შემადგენლობა და კომისიის მუშაობის წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

4. პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხი დარეგულირებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. გათვალისწინებულია, არასრულწლოვან და შეზღუდულ ქმედუნარიან აპლიკანტთან ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა. კერძოდ, ხელშეკრულება ფორმდება მშობელთან ამ კანონიერ წარმომადგენელთან, რომელთა უფლებამოსილებაც უნდა იყოს დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუში ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

5. კოლეჯს შემუშავებული აქვს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი. გათვალისწინებულია ისგ-ს შემუშავებაში შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხები კოლეჯს დარეგულირებული აქვს სამი სხვადასხვა დოკუმენტით: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 07 მაისის №24 და ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 მაისის №25 ბრძანებებით. აღნიშნულ დოკუმენტებში ხდება ცალკეული საკითხების დუბლირება. ***შესაბამისად, რეკომენდებულია კოლეჯმა უზრუნველყოს იმ დოკუმენტთა ოპტიმიზაცია, რომლებითაც ერთი და იგივე საკითხებია დარეგულირებული*** **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.**

28

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 14 აპრილის №18 ბრძანება
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 მარტის №10 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პროფესიული სტუდენტის გზამკვლევისა და პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 მაისის №28 ბრძანება;
- პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუში;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №5 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 მაისის №25 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- „შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 07 მაისის №24 ბრძანება;
- კოლეჯის ვებგვერდის დათვალიერების შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის უფლება მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია და მხარდაჭერა უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ. კოლეჯის დებულების მიხედვით, კოლეჯის დირექტორის მოადგილე უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ საკონსულტაციო მუშაობას სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია სტრუქტურული ერთეული - სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის ფუნქციაა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება. პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას აკადემიური უნარების გასაუმჯობესებლად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელი. შეფასების შესახებ სტუდენტები ღებულობენ პირისპირ ან წერილობით. ჯგუფურად ინფორმაციის მიწოდება დასაშვებია მხოლოდ სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში. შეფასების პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

გათვალისწინებულია განმავითარებელი შეფასება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით.

პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების სტიმულირების მიზნით, კოლეჯის მიერ გათვალისწინებულია წარმატებულ სტუდენტთა წახალისება, მათ შორის, სწავლის გადასახადისაგან გათავისუფლება ან შეღავათები სწავლის საფასურზე. აღსანიშნავია, რომ წამახალისებელი ღონისძიებები გათვალისწინებულია მოწყვლადი ჯგუფის პროფესიულ სტუდენტებისთვისაც და შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულია სამიზნე კატეგორიები.

წარმოდგენილი თვითშეფასებით, რაც დადასტურდა ექსპერტთა მიერ ჩატარებული ინტერვიუირებით, კოლეჯი აცხადებს მზაობას თავისივე რეგულაციების შესაბამისად, კვალიფიციური მხარდაჭერა გაუწიოს პროფესიულ სტუდენტს აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით.

2. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების მიერ შემუშავებული მექანიზმებით უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის საკითხი. კერძოდ: კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების დებულების მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოში ადაპტაცია უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. სამსახურის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობის მიხედვით, ის მონაწილეობს პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებში. ასევე, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით კოლეჯის ორგანიზაციულ მოწყობაში გათვალისწინებულია სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც, ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტთა ინტეგრაციას, მათ შორის, პარტნიორ დამსაქმებელთა პრაქტიკის ობიექტებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით (ბრძ. №25; 10.05.2021) ასევე, გათვალისწინებულია შშმ და სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებელი ინტეგრაციის ხელშეწყობა.

წარმოდგენილი თვითშეფასებით, რაც დადასტურდა ექსპერტთა მიერ ჩატარებული ინტერვიუირებით, კოლეჯი აცხადებს მზაობას თავისივე რეგულაციების შესაბამისად, უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა ინტეგრაცია სასწავლო გარემოში.

3. კოლეჯის დებულებით, სტრუქტურული ერთეულების დებულებით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევა. არსებული რეგულაციები შემუშავებულია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი აცხადებს მზაობას პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა, აღნიშნული ინდიკატორი ისევე როგორც ზემოაღნიშნული ორი, უფრო ავტორიზაციის შემდგომი შეფასების საგანს წარმოადგენს, ვიდრე ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების პროცესში შესაფასებელს.

4. კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახური, რომლის ფუნქციაა კოლეჯში კულტურულ- შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება. ღონისძიებების ორგანიზება ასევე, უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის მიერ.

ინტერვიუირების დროს პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებენ პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი კულტურულ- შემოქმედებითი გარემოს შექმნას. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა გათვალისწინებულია კოლეჯის სტრატეგიით და უკვე 2022 წლის სამოქმედო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

გეგმაში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტებისათვის კულტურული და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებათა ორგანიზება.

5.კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 აპრილის №26 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის ერთ- ერთი ამოცანაა პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება. წარმოდგენილი კითხვარი მოიცავს სტრუქტურირებულ კითხვებს, რომელთა მეშვეობითაც კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მიეცემათ შესაძლებლობა შეაფასონ თუ როგორ ფუნქციონირებს კოლეჯში პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერითი მომსახურება. მეთოდოლოგიის მიხედვით პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევას ახორციელებს და ჩატარებული კვლევის შედეგებს ამუშავებს კოლეჯის სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებისა და ცენტრის პერსონალის მხარდაჭერით. ხოლო ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდება დასკვნა, რომელშიც აისახება სათანადო რეკომენდაციები და განსახორციელებელი აქტივობები, რეაგირებისათვის წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელებსა და კოლეჯის დირექტორს, რომელიც დასკვნის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელებს სათანადო პროცესების ინიცირებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №3 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №5 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 მაისის №25 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სოციალურად მოწყვლადი პროფესიული სტუდენტის სტატუსის განსაზღვრის შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 14 მაისის №26 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის (2021-2027)და 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის №8 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 14 აპრილის №18 ბრძანება (ახალი რედაქციით დამტკიცებულია №36; 05.07 .2021);
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 აპრილის №26 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 აპრილის №17 ბრძანება.
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა მოსაზრებით, კოლეჯს კარიერული მხარდაჭერის სერვისები იმგვარად აქვს გააზრებული, რომ ის ხელმისაწვდომი იქნება არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისათვის. კერძოდ: კოლეჯის ორგანიზაციული მოწყობა ითვალისწინებს სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის არსებობას. დებულების მიხედვით, ცენტრი უზრუნველყოფს: სტუდენტების დახმარებას პროფესიულ ორიენტაციასა და თვითგამორკვევაში, პრიორიტეტების განსაზღვრაში და საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში; სტუდენტების დახმარებას დამსაქმებლებთან ურთიერთობაში და ამ მიზნით კონკრეტული თემატური ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას; უზრუნველყოფილი იქნება დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა პროფესიულ სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

პროფესიულ სტუდენტთა უნარების გაძლიერების მიზნით, დებულების მიხედვით გათვალისწინებულია პროფესიული განვითარების მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება და განხორციელება; დაინტერესებულ პირთათვის ტრანსფერული უნარების განმავითარებელი მოსამზადებელი პროგრამების (ზოგადი უნარები, უცხო ენები) შეთავაზება. ცენტრის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა ითვალისწინებს სტუდენტების მხარდაჭერას სააპლიკაციო დოკუმენტების მომზადებაში (CV, სამოტივაციო წერილის გადახედვა).

სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის სპეციალისტმა დაადასტურა მზაობა სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულ ფუნქცია- მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით. კოლეჯი გეგმავს აქტიურად ითანამშრომლოს სკოლებთან და საპროფორიენტაციო შეხვედრები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

გამართოს სკოლის მოსწავლეებთან. საპროფორიენტაციო მიზნებისათვის ასევე აქტიურად გამოიყენებენ კოლეჯის ვებ - გვერდს.

2022 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია საპროფორიენტაციო ღონისძიებების ორგანიზება.

2. კოლეჯის დებულებით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის განახლებული ინფორმაციის მიწოდება დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე. მისი ფუნქციაა კონსულტაციების გაწევა შრომის ბაზრის მიმდინარე თუ სამომავლო მოთხოვნებთან დაკავშირებით; ცენტრი განახორციელებს სტუდენტთა ინფორმირებას დასაქმების ინტერნეტსაიტებზე არსებული ვაკანსიების თაობაზე. კერძოდ. ცენტრის სპეციალისტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას (ელ-ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან სხვა გზავნილების საშუალებით) კონკრეტული ვაკანსიების შესახებ, დამსაქმებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის გავრცელებას სტუდენტებს შორის. დაგეგმილია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მრავალკომპონენტიანი, რეესტრის შექმნა და მოხმარება ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმით 2023-2025 პერიოდისათვის გათვალისწინებულია დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტების განვითარება და განხორციელება.

3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას კარიერულ განვითარებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 აპრილის №26 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია: კვლევის მიზანი, მეთოდი, შეფასების ინსტრუმენტი. გამოკითხვის ჩატარების პერიოდი. სხვა ამოცანებთან ერთად, პროფესიული სტუდენტის კვლევის ამოცანაა - კოლეჯის მიერ კარიერული მხარდაჭერის, პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით დაგეგმილი/ განხორციელებული) მომსახურების შეფასება; ხოლო კურსდამთავრებულის კვლევის ამოცანებია: კარიერული მხარდაჭერის, პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით დაგეგმილი/ განხორციელებული) მომსახურების შეფასება და ინფორმაციის მოძიება დასაქმებასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებზე: კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/ თვითდასაქმება/ სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება; დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირის შესწავლა; იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას; კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება. კურსდამთავრებულთა კვლევა განხორციელდება პროგრამის დასრულებიდან არანაკლებ 6 თვის შემდეგ.

4. კარიერული მომსახურების შეფასების მიზნით პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მიზანია მისი გამოყენება შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია ითვალისწინებს ჩატარებული კვლევის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასკვნის შემუშავებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

რომელშიც ასახული უნდა იყოს სათანადო რეკომენდაციები და განსახორციელებელი აქტივობები. რეაგირებისათვის ანალიზის დოკუმენტი წარედგინება კოლეჯის დირექტორსა და პროგრამის ხელმძღვანელებს.

ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში არსებული მექანიზმებისა და დაწესებულების მზაობის დადასტურების გათვალისწინებით კომპონენტი ფასდება როგორც სრულად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №3 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №5 ბრძანება;
- ,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 აპრილის №17 ბრძანება.
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 აპრილის №26 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის (2021-2027)და 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის №8 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. **ადამიანური რესურსები**

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

1. კოლეჯის ორგანიზაციული მოწყობის საკითხი დარეგულირებულია კოლეჯის დირექტორის ორი ბრძანებით: ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №3 და ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №5 ბრძანებებით.

კოლეჯის მართვის ორგანოებს განეკუთვნება: დამფუძნებელი, დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულებია: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; იურიდიული სამსახური, ფინანსური სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, საქმისწარმოების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, უსაფრთხოების სამსახური, IT სამსახური.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 მარტის №11 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის საშტატო განრიგი რომლის მიხედვით, თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში მოაზრებულია მინიმუმ ორი პირი (სამსახურის უფროსი და სპეციალისტი ან სხვა, მაგალითად, ფინანსური სამსახურის უფროსი და ბუღალტერი).

კოლეჯს შემუშავებული აქვს თითოეული პოზიციისათვის სამუშაო აღწერილობა (ბრძ. №17; 05.04.2021). სამუშაო აღწერილობა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: პოზიცია, ფუნქცია- მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები: კვალიფიკაცია, გამოცდილება, პროფესიული ცოდნა, უნარ- ჩვევები და პოზიციისადმი წაყენებული დამატებითი მოთხოვნები (არსებობის შემთხვევაში). კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, სამუშაო აღწერილობა წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

(ქალაქი, წელი)

ვიზიტის მომენტში კოლეჯს სტრუქტურული ერთეულებიდან დანიშნული ჰყავდა მინიმუმ ერთი პირი, იმ პრინციპით რომ კოლეჯი მათი ჩართულობით მომზადებულიყო ავტორიზაციისათვის და დაკმაყოფილებული ყოფილიყო ავტორიზაციის შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნები. კოლეჯის დირექტორთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან კომუნიკაციით დადგინდა, რომ სტრუქტურის შემუშავებისას იხელმძღვანელეს ავტორიზაციის სტანდარტებით და მის შესაბამისად განსაზღვრეს სამსახურების ფუნქციები. თუმცა საწყის ეტაპზე სამსახურების უფროსები არ ჰყავთ შერჩეული, გარდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისა. *დირექტორის განმარტებით, ორგანიზაციას აქვს შემოსავლები, მათ შორის, საერთაშორისო გრანტები და კოლეჯს ფინანსური მდგრადობის საფრთხე არ შეექმნება და სამსახურების უფროსებს დანიშნავენ საქმიანობის უფლების მოპოვების შემდეგ. ასევე, ფუნქციონირების დაწყებისას თუკი გამოიკვეთა საჭიროება, შესაძლებელია რამდენიმე სამსახური მოაქციონ ერთი სამსახურის ქვეშ.*

დაწესებულებას სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები ორი სხვადასხვა ბრძანებით აქვს დამტკიცებული (კოლეჯის დებულება და სტრუქტურული ერთეულების დებულება). მიზანშეწონილია ერთი და იგივე საკითხები ერთი ბრძანებით იყოს დარეგულირებული, ვინაიდან ერთ რომელიმე ბრძანებაში ცვლილების შეტანით შესაძლოა რეგულაციები წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს ერთანეთთან. შესაბამისად, ***კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების (ბრძანებების) ოპტიმიზაცია.***

2. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების დებულება იმგვარადაა შემუშავებული, რომ გათვალისწინებულია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები. სტრუქტურულ ერთეულებს შორის პასუხისმგებლობები სწორადაა გადანაწილებული და ხელს არ შეუშლის კოლეჯს თავისი საქმიანობის განხორციელებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

ექსპერტთა მიერ განხორციელდა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შედარებითი ანალიზი და ისინი შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

3. კოლეჯის ორგანიზაციულ სტრუქტურაში გათვალისწინებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. რომლის ფუნქციებია: კოლეჯის ავტორიზაციის პროცედურებისათვის მომზადება; სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების, სწავლებისა და პერსონალის შეფასების წესის შემუშავება; თანამშრომლობა პროფესიულi საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად; კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება და მათ საფუძველზე სისტემატური მონიტორინგის ორგანიზება; რეკომენდაციების შემუშავება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე; პერსონალის კითხვარების შემუშავება და კითხვარის ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება კოლეჯის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით; კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება კოლეჯის პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის პროგრამის შემუშავებასთან, ავტორიზაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარის და თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის მომზადების ორგანიზება; სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის, სტუდენტების მხარდაჭერის სერვისების, პერსონალის მართვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

განვითარებისა და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამის სტრუქტურებთან, პასუხისმგებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება-გადამზადების, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესის შემუშავება და შეფასების პროცესის განხორციელება დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით; რეკომენდაციების წარდგენა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის.

ექსპერტებს ჰქონდათ კომუნიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან (მ/შ), რომელსაც კარგად აქვს გააზრებული სამსახურის ფუნქციები და ის აქტიურად იყო ჩართული კოლეჯის ავტორიზაციისათვის მომზადების, თვითშეფასების შემუშავების პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები შეჯერდა დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციასთან და არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ანალიზითაც დგინდება, რომ კოლეჯს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია სწორად აქვს დანახული და გეგმებით გათვალისწინებულ ცალკეულ ამოცანებთან/აქტივობებთან მიმართებაში პასუხისმგებლობების ხარისხის სამსახურისთვის დაკისრება რელევანტურად არის გადაწყვეტილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №3 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №5 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 მარტის №11 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შეახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 აპრილის №17 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის (2021-2027)და 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის №8 ბრძანება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგი;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის საკითხები დაწესებულებას დარეგულირებული აქვს სხვადასხვა დოკუმენტებით, რომლებიც დამტკიცებულია შესაბამისი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტებით: მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, კოლეჯის შინაგანაწესით, კადრების მოზიდვის მექანიზმებით, თანამშრომლების სოციალიზაციისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმებით. აღნიშნული ბრძანებებით კოლეჯს შემუშავებული აქვს პოლიტიკა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: კადრების მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნა, თანამშრომლის სოციალიზაცია და პროფესიული განვითარება.

შრომითი ურთიერთობების რეგულირება ეფუძნება კოლეჯის შინაგანაწესს, რომელიც არეგულირებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა საკითხს. კერძოდ, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, ყოველდღიური სამუშაოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

დაწყებისა და დამთავრების დროს, დასვენების ხანგრძლივობას, სამუშაოს ადგილს, შრომის ანაზღაურების გაცემის დროს და ადგილს, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შრომის პირობების დაცვის წესს, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახესა და გამოყენების პირობებს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესსა და სამსახურში ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფას.

შინაგანაწესი შესაბამისობაშია შრომის კოდექსის მოთხოვნებთან. დასაქმებულის სამუშაო აღწერილობა წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და პირი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს მათი გაცნობის ფაქტს. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუს გზითაც.

2. კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სტრუქტურული ერთეული. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 22 მარტის №13 ბრძანებით დამტკიცებულია კადრების მოზიდვის მექანიზმები. კადრების მოძიების გზად ორგანიზაცია მოიაზრებს როგორ შიდა რეკრუტირებას, ასევე, კოლეჯის მიღმა კადრების მოძიებას, მათ შორის შერჩევას კონკურსის გზით.

არსებულ ადამიანურ რესურსთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ მათი უმეტესი ნაწილი შერჩეულია შიდა რეკრუტირების გზით. კერძოდ, დამფუძნებელი ფლობს სასწავლებელს, რომელიც მილევად რეჟიმში ახორციელებს არაფორმალურ სწავლებას და კადრების დიდი ნაწილი სწორედ აღნიშნული დაწესებულებიდან შეირჩა, მათ შორის, პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილი. რეგულაცია ითვალისწინებს, კონკურსის გზით თანამშრომლის შერჩევის შესაძლებლობას და გეგმავენ ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი ამ გზით შეარჩიონ (უპირატესობას მიანიჭებენ ხარისხის ცენტრის მიერ სერტიფიცირებულ სპეციალისტს).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

არსებული რეგულაციები ითვალისწინებს სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების როგორც დანიშვნას, ასევე, შრომითი ხელშეკრულების დადებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია თანამშრომელთა დანიშვნის აქტები და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში ასახულია საქართველოს შრომის კოდექსის არსებითი პირობები (თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე, სამუშაო ადგილი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ოდენობა და გაცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების გაცემის წესი).

კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრულია პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციის ნუსხა. კოლეჯს ჰყავს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია დასაქმებულთა პირადი საქმეების წარმოებაზე. ექპერტებმა შეისწავლეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დასაქმებულ პირთა შესაბამისობა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. შინაგანაწესის შესაბამისად პირად საქმეში დოკუმენტაციის დაცულობა გადამოწმდა ადგილზე რამდენიმე პირადი საქმის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და დადასტურდა დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

3. ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღნიშნულის მიზნით ექსპერტებმა გამოითხოვეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მათი ნაწილი გადამოწმდა ადგილზეც, რადგან სრულყოფილად არ იყო გადმოგზავნილი. გაანალიზდა დოკუმენტაციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან რელევანტურობა და დადგინდა შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

4,.თანამშრომლობითობა კოლეჯს განსაზღვრული აქვს როგორც ღირებულება. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს პროცესში ყველა მათგანი ხაზს უსვამდა გუნდურობას. კოლეჯის 2021-2027 წლების სტრატეგიის მიხედვით უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ავტორიზაციის მოპოვება და ამ ამოცანის განმახორციელებლად მოაზრებულია კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეული. კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილი სამუშაო შეხვედრების ოქმებით დასტურდება თანამშრომელთა მიერ ავტორიზაციის პროცესისათვის მზადების პროცესში ჩართულობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 მარტის №10 ბრძანება:
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 18 მარტის №12 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის კადრების მოზიდვის მექანიზმები, თანამშრომლების სოციალიზაციისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 22 მარტის №13 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 მარტის №14 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შეახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 აპრილის №17 ბრძანება;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებები თანამშრომელთა დანიშვნის თაობაზე;
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეების (cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი
  - დოკუმენტი/სერტიფიკატები) გადამოწმების შედეგი;
- რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების გადამოწმების შედეგი;
- ავტორიზაციისათვის მზადების პროცესში თანამშრომელთა ჩართულობის დამადასტურებელი ოქმები.
- თანამშრომლებთან ინტერვიუს შედეგი;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯის რეგულაციები ითვალისწინებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. კერძოდ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციაა სასწავლო და ადმინისტრაციული ერთეულების საქმიანობის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება მათი საქმიანობის სრულყოფის მიზნით. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 აპრილის №19 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა მექანიზმების შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და გამოყენების ფორმები. დემინგის ციკლის შეფასების ეტაპების ფარგლებში, გათვალისწინებულია კოლეჯის ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება და განვითარება. დამტკიცებულია: ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარი, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

მეთოდოლოგია, პროფესიულ სტუდენტთა დამოკიდებულების შესწავლის ინსტრუმენტი კოლეჯისა და სწავლა-სწავლების პროცესების მიმართ. მათ შორის ფასდება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობა. სტრატეგიული დაგეგმვის, შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია ითვალისწინებს თანამშრომელთა ყოველწლიური ანგარიშების წარმოდგენას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს თანამშრომლების შეფასებას მათ მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშების საფუძველზე კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან მიმართებაში. კოლეჯის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის გეგმის შესრულების მონოტორინგს განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ასევე, ამ მიზნისათვის შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი.

ვინაიდან კოლეჯი ახლად შექმნილია, რეკომენდებულია კოლეჯმა დანერგოს ადმინისტრაციული პერსონალის თვითშეფასების კულტურა საკუთარ ფუნქცია - მოვალეობებთან მიმართებაში და თვითშეფასების შედეგები გაითვალისწინოს შესაბამისი ადამიანური რესურსი განვითარების დაგეგმვისას.

2. პერსონალის განვითარება განხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 22 მარტის №13 ბრძანებით დამტკიცებულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები, რომელიც წარმოდგენილია სამი ძირითადი ეტაპის სახით: საჭიროებების დადგენა, პროფესიული განვითარების კონკრეტული პროგრამების მომზადება და მიღებული შედეგების შეფასება.

კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სტრუქტურული ერთეული, რომლის საქმიანობის ერთ - ერთი მთავარი ამოცანაა პერსონალის განვითარების დაგეგმვა, სწავლებისა და გადამზადების გეგმების შედგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული ტრენინგების მხარდაჭერა. აღნიშნული უკვე გათვალისწინებულია 2022 წლის სამოქმედო გეგმაში, რადგან დაწესებულება აცნობიერებს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ახლადშექმნილი კოლეჯის ადამიანური რესურსის მუდმივ განვითარებას.

3.კოლეჯის რეგულაციები ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. კერძოდ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციაა მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება მისი სრულყოფის მიზნით. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 აპრილის №19 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა მექანიზმების შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და გამოყენების ფორმები. დემინგის ციკლის შეფასების ეტაპების ფარგლებში გათვალისწინებულია კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებათა კვლევა, შეფასება და მათ განვითარების დაგეგმვა.

კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სტრუქტურული ერთეული, რომლის საქმიანობის ერთ - ერთი მთავარი ამოცანაა პერსონალის განვითარების დაგეგმვა, სწავლებისა და გადამზადების გეგმების შედგენა.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა. აღნიშნული გათვალისწინებულია 2022 წლის სამოქმედო გეგმაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ინფორმაციით, 2022 წელს განხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხარდაჭერა მოდულური პროგრამების ფარგლებში სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიმართულებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 22 მარტის №13 ბრძანებით დამტკიცებულია კადრების მოზიდვის მექანიზმები, თანამშრომლების სოციალიზაციისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები. ინტეგრაციის პროცესში მოაზრებულია შემდეგი აქტივობები: პირველი შეხვედრა დაწესებულებასთან, დაწესებულების ინფრასტრუქტურის გაცნობა, თანამშრომლების გაცნობა, მენტორი თანამშრომლის გამოყოფა, ახალი თანამშრომლის ტრენინგი შიდა ნორმებსა და რეგულაციებზე და გარკვეული პერიოდის შემდეგ ხელმძღვანელობასთან შეხვედრა უკუკავშირის მიზნით. კონკრეტული თანამშრომლის სოციალიზაციის ღონისძიებებს გეგმავენ ადამიანური რესურსების სამსახური და იმ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, რომელშიც საქმდება თანამშრომელი.

5. კოლეჯი თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმების ფარგლებში უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინიციატივების მხარდაჭერას განვითარებასთან დაკავშირებით. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში მასწავლებლებმა დაინახეს ტრენინგების საჭიროება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. გამოხატეს სწავლის მზაობა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ინფორმაციით, მასწავლებლები გაივლიან შესაბამის ტრენინგებს. 2022 წლის სამოქმედო გეგმაში ასახულია მასწავლებელთა განვითარების მხარდამჭერი აქტივობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №5 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის (2021-2027)და 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის №8 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის კადრების მოზიდვის მექანიზმები, თანამშრომლების სოციალიზაციისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 22 მარტის №13 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა მექანიზმების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურისა და გამოყენების ფორმების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 აპრილის №19 ბრძანება;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

5. **მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით. ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (№02.04.03.669). დაწესებულებას იჯარით, ექვსი წლის ვადით, გადაცემული აქვს შენობა - ნაგებობები მისამართზე: ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქ. №5. მესაკუთრეს წარმოადგენს კოლეჯის დამფუძნებელი გარი ჩაფიძე. აღნიშნულ მისამართზე, ამონაწერის მიხედვით, 18 შენობა - ნაგებობაა. მათ შორის, კოლეჯისათვის იჯარით გადაცემულია: შენობა ნაგებობები №8 (197,72 კვ. მ) და №9 (237, 28 კვ. მ), ჯამში 435 კვ. მ. გარდა ამისა, დირექტორმა წარმოადგინა 2021 წლის 10 მაისის სარგებლობის ხელშეკრულება №26374/021, რომლის თანახმად, შპს ,,ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სასწავლო უნივერსიტეტი“ (რომლის მფლობელიც ასევე კოლეჯის დამფუძნებელია) კოლეჯს სარგებლობის უფლებით გადასცემს: სტუდენტურ კაფეს, იმიტირებულ ,,აკადემ ბანკს“, საკონფერენციო დარბაზს თავისი აღჭურვილობით, სალექციო 58

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

დარბაზს აღჭურვილობით (ადაპტირებული ტუალეტით) (დანართი №2). კოლეჯის დამფუძნებლის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის სტუდენტებს ასევე შეეძლებათ ისარგებლონ იმავე სივრცეში არსებული სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, რომელიც გათვლილია 25 პირზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ფორმა სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით. ასევე წარმოდგენილია აზომვითი ნახაზი და მატერიალური რესურსის, მათ შორის, სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართები, იმიტირებული სასწავლო გარემო, ადმინისტრაციული სივრცეები, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, სტუდენტური კაფე, საკონფერენციო დარბაზი, სანიტარიული კვანძები, მედდის ოთახი, დაცვის ოთახი, ბიბლიოთეკა სამკითხველოთი, სივრცე არქივისთვის, სასწავლო აუდიტორიები. ფართების უმეტესობა მოწყობილია კორპუსების პირველ სართულებზე. ფართები აღჭურვილია საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამისად ფუნქციონირებას.

პროგრამის კონტექსტში რესურსები განხილულია მეორე სტანდარტის ფარგლებში.

2. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზით. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (№45; 21.07.2021) დამტკიცებულია კოლეჯის მატერიალური რესურსებით და სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

უზრუნველყოფის წესი. აღნიშნულ წესით დადგენილია თანამშრომლების, სტუდენტებისა და მსმენელების მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, მათ შორის, კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის შესაძლებლობები.

კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში ასევე ადგენს სტუდენტის უფლებას კოლეჯის დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით.

3. შინაგანაწესის შესაბამისად, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო, მათ შორის სანიტარულ - ჰიგიენური პირობების დაცვა. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია დამლაგებლის ორი შტატი. სტრუქტურის მიხედვით დამლაგებელი გათვალისწინებულია უსაფრთხოების სტრუქტურულ ერთეულში. დამლაგებელი პასუხისმგებელია კოლეჯში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სისუფთავესა და ჰიგიენური პირობების დაცვაზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დამლაგებლის დანიშვნის ბრძანება.

კოლეჯის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ კოლეჯის ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4.ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირება.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. შინაგანაწესის მიხედვით, კოლეჯი ვალდებულია თანამშრომლებს შეუქმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო-პირობები, შეასრულოს შრომის დაცვის წესები. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 07 ივნისის №31 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, კოლეჯს მომსახურეობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შესაბამისი კომპეტენციის მქონე შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებულ სპეციალისტთან, რომელიც თავის საქმიანობას განახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 ივლისის №45 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის მატერიალური რესურსებით და სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის წესი.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის საკითხებს. მატერიალური რესურსების, მასალა ნედლეულის შესყიდვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ფინანსურ სამსახურს, ადმინისტრაციის წევრებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაბამისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

7. კოლეჯის ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა“ და პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მატერიალური რესურსების რეგულარულ შეფასებასა და მათ განვითარებას. შეფასება ადგენს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების განახლება-სრულყოფის საჭიროებას და ამოწმებს მისი საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასთან შესაბამისობას. ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პერსონალის, მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა და მათი უკუკავშირის გათვალისწინება მატერიალური რესურსების განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

8. შენობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, რაც სათანადოდ მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. კერძოდ, შშმ პირებისათვის სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე მოწყობილია ერთი ადაპტირებული სანიტარული კვანძი. აღნიშნული ფართის უფლება კოლეჯს გააჩნია სარგებლობის ხელშეკრულების შესაბამისად.

9. ექსპერტთა შეფასებით, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკართან გასაუბრება ვერ შედგა. ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითხველო დარბაზს, 5 კომპიუტერით. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ბიბლიოთეკაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N27 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, გამოკრულია ბიბლიოთეკაში. კოლეჯის რეგულაციები მიხედით, თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკითა და ინტერნეტრესურსებით, სამუშაო დღის საათებში 09:30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

საათიდან 18.00 საათის ჩათვლით, ხოლო შინაგანაწესით განსაზღვრულ შაბათ დღეს (როგორც სასწავლო და სამუშაო დღე) სამუშაო საათებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (№02.04.03.669);
- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით;შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- მოძრავი ქონების, მათ შორის, სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საგადახდო დავალებები, სასაქონლო ზედნადებები; მიღება - ჩაბარების აქტები;
- შპს ,,ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სასწავლო უნივერსიტეტსა“ და შპს ,,იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული 2021 წლის 10 მაისის სარგებლობის ხელშეკრულება №26374/021;
- ა(ა)იპ ,,კოლორიტი 1991“ და შპს ,,იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული 2021 წლის 10 მაისის ჩუქების ხელშეკრულება №26371/021;
- კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 14 აპრილის №18 ბრძანება (ახალი რედაქციით დამტკიცებულია №36; 05.07 .2021);
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის მატერიალური რესურსებით და სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 ივლისის №45 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 მარტის №10 ბრძანება;
- თანამშრომელთა დანიშვნის ბრძანებები და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის უსაფრთხოების წესების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ევაკუაციის წესის, პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმის დამტკიცებისა და საგანგებო ვითარების პირობებში მოქმედი ოპერატიული შტაბის შექმნის შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 07 ივნისის №31 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა მექანიზმების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურისა და გამოყენების ფორმების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 აპრილის №19 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის დირექტორის 26 აპრილის №21 ბრძანება;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N27 ბრძანება;
- სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, ელექტრონული კატალოგის შემოწმების შედეგი;
- კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერების შედეგი;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის შენობის ტექნიკურ მდგრადობასთან დაკავშირებით კოლეჯმა წარმოადგინა შპს ,,მშენ ექსპერტის“ (აკრედიტაციის მოწმობის №GAC – IB- 0121) მიერ 2021 წლის 20 იანვარს გაცემული ინსპექტირების ანგარიში ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქ. №5- ში მდებარე №8, №9, №3, №13 და №16 შენობების მდგრადობის თაობაზე. ინსპექტირება ჩატარებულია შპს ,,ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სასწავლო უნივერსიტეტის“ დაკვეთით, ხოლო კოლეჯისათვის №8 და №9 შენობების გადაცემა და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა ფართების სარგებლობის უფლებაზე ხელშეკრულების გაფორმება განხორციელებულია მდგრადობის დასკვნის გაცემის შემდეგ. შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ კოლეჯის მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული ფართების მდგრადობა დადასტურებულია აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ტექნიკური მდგრადობის დასკვნით.

სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

თაობაზე (როგორც მდგრადობის დასკვნის შემთხვევაში მიწერილობაც აღებულია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, კოლეჯისათვის ფართების გადაცემამდე).

ვიზიტის დროს განხორციელდა შენობის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა ფართის დათვალიერება, დერეფნებში განთავსებულია სახანძრო დეტექტორები, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, სახანძრო სიგნალიზაცია, მოწყობილია საევაკუაციო გასასვლელები. დირექტორის განმარტებით, ყველა ხარვეზი აღმოფხვრილია და დარჩენილია მხოლოდ ერთი ხარვეზი - უზრუნველყოფილი უნდა იქნას ადმინისტრაციული შენობის ცენტრალური საევაკუაციო გასასვლელი კარის გაღების შესაძლებლობა შენობიდან გასვლის მიმართულებით. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ შესაძლებელი იქნება უსაფრთხოების დასკვნის მიღება.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის 29 ნოემბრის №47 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1.კომპონენტთან (5.1.2) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 8 აპრილი.

შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტის ნაწილში დაწესებულება ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. ამასთან, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, შეუსაბამობის აღმოფხვრის შემდეგ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი მიმართვის წერილში კონკრეტულად დააფიქსიროს შემოწმების საგანი - შენობა - ნაგებობების ნუმერაცია და ფართი საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, რათა დასკვნის დოკუმენტი იძლეოდეს შემოწმებული შენობების იდენტიფიცირების შესაძლებლობას და გამიჯვნას იმავე ტერიტორიაზე არსებული სხვა შენობებისაგან.

2. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველი დახმარების აღმოჩენის ოთახი, რომელიც უზრუნველყოფილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით. შემუშავებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ექიმის საშტატო ერთეული (სტრუქტურულად შედის უსაფრთხოების სამსახურში). კოლეჯში დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი. სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია შესასრულებელი ფუნქცია - მოვალეობები. პირველადი გადაუდებელი დახმარების პუნქტში არსებობს ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი. ვიზიტის დროს განხორციელდა გადაუდებელი დახმარების ოთახის ვიზუალური დათვალიერება.

3. საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით კოლეჯის ორგანიზაციულ მოწყობაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ერთეული. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №5 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების სამსახურის დებულება.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული 2021 წლის 07 ივნისის №31 ბრძანებით დამტკიცებული საევაკუაციო გეგმა. აღნიშნული ბრძანებით ასევე, დამტკიცებულია საგანგებო ვითარების პირობებში მოქმედი ოპერატიული შტაბი, საგანგებო სიტუაციები დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. ოპერატიული შტაბის წევრებს შორის ფუნქციები არ არის დეტალურად გადანაწილებული, რადგან, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, კოლეჯში ფუნქციონირებს უსაფრთხოების სამსახური, კოლეჯს მომსახურების ხელშეკრულება უკვე აქვს გაფორმებული შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებულ სპეციალისტთან და საგანგებო სიტუაციების შტაბში მთავარი ბირთვი სწორედ უსაფრთხოების სამსახური იქნება, რომლის ფუნქციებიც გაწერილია უსაფრთხოების სამსახურის დებულებაშიც და ზემოაღნიშნულ რეგულაციებშიც.

აღსანიშნავია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებულ საევაკუაციო გეგმაში არ არის მითითებული კოლეჯის სახელწოდება, ვინაიდან მისი შეთანხმება კოლეჯისთვის ფართების გადმოცემამდე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

განხორციელდა. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ სამომავლოდ საევაკუაციო გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში კოლეჯის სახელწოდებასთან.

4. სტრუქტურული ერთეულების დებულების მიხედვით, უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს: კოლეჯის შენობა-ნაგებობების, ცენტრალური გათბობის სისტემის, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა დაცვას, მისი მოვალეობაა კოლეჯში გამართულ ღონისძიებებზე წესრიგის დაცვის კონტროლი, დაცვის ტექნიკური საშუალებების (ვიდეო მეთვალყურეობის და სიგნალიზაციის) ფუნქციონირების მონიტორინგი.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, უსაფრთხოების სპეციალისტი უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას და უსაფრთხოებას კოლეჯში: კოლეჯში შემოსვლისას ამოწმებს კოლეჯის სტუდენტების და პერსონალის შესაბამის მოწმობებს, აკონტროლებს უცხო პირთა კოლეჯში შესვლას შესაბამისი პროცედურის დაცვით, უზრუნველყოფს კოლეჯის შიგნით უწესრიგობისა და ხმაურის აღკვეთას, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ან კონფლიქტური სიტუაციების შემთხვევაში იღებს ზომებს მათ აღსაკვეთად, საჭიროების შემთხვევაში ატყობინებს სათანადო სამსახურებს და კოლეჯის ადმინისტრაციას; ზრუნავს კოლეჯის სტუდენტებისა და თანამშრომლების უსაფრთხოებაზე.

კოლეჯში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მოწყობილია შენობაში შესვლისას რეგისტრაციის პუნქტი, სადაც ხდება თერმოსკრინინგი covid- 19 ინფექციის პრევენციის მიზნით. კოლეჯში დამონტაჟებულია სიგნალიზაციის სისტემა და მისი ჩართვის შემთხვევაში სწორედ აღნიშნული რეგისტრაციის პუნქტში ხდება საფრთხის წერტილის იდენტიფიცირება. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება და მოხდა მასთან გასაუბრებაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

( ) *ქალაქი, წელი)*

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო სისტემა. სულ დაწესებულების პერიმეტრზე დამონტაჟებულია 16 კამერა. კამერები არ არის დაყენებული სასწავლო, ადმინისტრაციულ ფართებსა და სანიტარულ კვანძებში. გაკეთებულია შესაბამისი მანიშნებლები მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ,,მშენ ექსპერტის“ 2021 წლის 20 იანვარს გაცემული ინსპექტირების ანგარიში (შენობის ტექნიკური მდგრადობის დასკვნა);
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის მიწერილობა;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-5 (5.1.2 კომპონენტი) და მე-2 (2.2.1 კომპონენტი) სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 2021 წლის 29 ნოემბრის №47 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის უსაფრთხოების წესების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ევაკუაციის წესის, პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმის დამტკიცებისა და საგანგებო ვითარების პირობებში მოქმედი ოპერატიული შტაბის შექმნის შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 07 ივნისის №31 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №3 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 მარტის №11 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 აპრილის №17 ბრძანება;
- დასაქმებულთა პირადი საქმეების შემოწმების შედეგი;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმების მოქმედების
- ვიდეოსათვალთვალო აღჭურვილობის შესყიდვის საგადახდო დავალება და სისტემის ფუნქციონირების დაკვირვების შედეგი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

ინფრასტრუქტურა და პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართები, შესაბამისი აღჭურვილობით. კოლეჯში ყველა სასწავლო აუდიტორია, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით/ლეპტოპებით (ჯამში - 35) დაწესებულებაში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ მიწოდებას კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში, ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები მარაგდება ქსელური ინტერნეტით. წარმოდგენილია წლის ბოლომდე ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული *ხელშეკრულება.*

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს IT რისკების მართვის პოლიტიკა. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 14 ივნისის №32 ბრძანებით დამტკიცებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა. უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვის სფეროებს წარმოადგენს: კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა; კოლეჯში არსებული ძირითადი მონაცემები და ინფორმაცია, პირები, რომლებიც იყენებენ ინფორმაციულ სისტემებს ან ახორციელებენ მის ადმინისტრირებას; პირები, რომლებიც ახორციელებენ ძირითადი მონაცემებისა და ინფორმაციის მართვას. პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯის დაცულობას ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და პასუხისმგებლობებს ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე.

კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია IT სამსახური, რომლის მთავარი ფუნქციებია IT რისკების მართვის პოლიტიკის გატარება, კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა. შედგა ინტერვიუ სამსახურის სპეციალისტთან, რომელმაც ფუნქცია- მოვალეობებიდან გამომდინარე ისაუბრა დანიშვნის დღიდან მის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე და სამომავლო გეგმებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(*ქალაქი, წელი)*

3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის №42 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები. დოკუმენტის ფარგლებში დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: მონაცემთა დამუშავების პრინციპები, მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, მონაცემთა დამუშავების პროცედურა, მათ შორის დამუშავებაზე თანხმობის მოპოვება, ვიდეო თვალთვალის განხორციელების მიზნები და მონაცემთა შენახვა და დამუშავება, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების საკითხები, მონაცემთა დამუშავება კოლეჯის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით, წვდომა პერსონალურ მონაცემებზე, მონაცემთა უსაფრთხოება.

რეგულაციით განსაზღვრულია საკითხები თუ როდის არის აუცილებელი წერილობითი თანხმობის მოპოვება. პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი სასწავლო ხელშეკრულების ნიმუში ითვალისწინებს კოლეჯისთვის უფლების მინიჭებას დაამუშაოს პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები, საქართველოს კანონმდებლობით კოლეჯისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

4. კოლეჯის ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა“, ასევე, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია ითვალისწინებს IT ინფრასტრუქტურისა და პროცესების რეგულარულ შეფასებასა და მათ განვითარებას. შეფასება ადგენს რესურსების განახლება-სრულყოფის საჭიროებას და ამოწმებს მისი საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასთან შესაბამისობას. ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პერსონალის, მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა და მათი უკუკავშირის გათვალისწინება ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით განვითარებისათვის. 2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია კოლეჯის IT პოლიტიკის განვითარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

(ქალაქი, წელი)

5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის №45 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობისა და სასწავლო პროცესის მასალებით/ ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის წესის მიხედვით, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის გამართულ/მუშა მდგომარეობაში არსებობა და კომუნიკაციების, ინტერნეტ რესურსების ხელმისაწვდომობა თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისათვის. აღნიშნული წესით განსაზღვრულია კომპიუტერული ტექნიკის როგორც ხელმისაწვდომობის, ასევე შეზღუდვების საკითხები, რომლების მიმართულია როგორც IT ტექნოლოგიების გამართული ფუნქციონირების, ასევე, მისი მიზნობრიობისაკენ.

პასუხისმგებლობა აღნიშნული მექანიზმის დანერგვაზე ეკისრება IT სამსახურს.

6. არსებული რეგულაციის მიხედვით სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი და სასწავლო პროცესის სამსახური უზრუნველყოფენ პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციის პროცესს, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში. რეგულაციების მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება განხორციელდება როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინების, ასევე, ელ- ფოსტის მეშვეობით. კოლეჯში საკომუნიკაციო მექანიზმის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯის IT სამსახურს. IT სამსახურის სპეციალისტთან კომუნიკაციით დადგინდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ელექტრონული ფოსტის, ვებგვერდის, სატელეფონო მესიჯების და სოციალური ქსელის მეშვეობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

75

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

( ) *ქალაქი, წელი)*

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 2021 წლის №32 ბრძანება.
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №3 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 აპრილის №17 ბრძანება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 2021 წლის 20 ივლისის №42 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა მექანიზმების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურისა და გამოყენების ფორმების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 აპრილის №19 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის დირექტორის 26 აპრილის №21 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობისა და სასწავლო პროცესის მასალებით/ ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 ივლისის №45 ბრძანება;
- IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;
- უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;
- პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგი;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 მაისის №23 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი და საქმისწარმოების ფორმები. კოლეჯს ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად.

ვიზიტის დროს გადამოწმდა სარეგისტრაციო ჟურნალები. ყველა მათგანი ნაწარმოებია დადგენილი წესის შესაბამისად.

ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია კოლეჯის მიერ გამოცემულ ბრძანებებთან დაკავშირებით. უმრავლესობას არა აქვს აღწერილობითი ნაწილი. რეკომენდებულია, ბრძანებას ჰქონდეს საკონსტატაციო ნაწილი სადაც გადმოცემული იქნება ბრძანების გამოცემის მიზანი და ამოცანა და თუკი მისი გამოცემის საფუძველს წარმოადგენს სხვა საკანონმდებლო სამართლებრივი აქტი საკონსტატაციო ნაწილში ისიც უნდა აისახოს.

2. დაწესებულება ამ ეტაპზე ელექტრონულ საქმისწარმოებას ახორციელებს კოლეჯის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის Contact@GC.edu.ge მეშვეობით. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 მაისის №23 ბრძანებით დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

საქმისწარმოების წესი ითვალისწინებს ელექტრონულად კორესპონდენციის მიღებასა და გადაგზავნას. რეგულაციით განსაზღვრულია ელექტრონულად წარმოდგენილი კორესპონდენციისა და განცხადების აუცილებელი რეკვიზიტები. ასევე, კოლეჯი თავის საქმიანობაში იყენებს Google პლატფორმას. კერძოდ, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევა დაგეგმილია ,,Google Forms" პლატფორმის გამოყენებით. 2022 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით კოლეჯი გეგმავს ელექტრონული საქმისწარმოების სხვა ფორმის დანერგვასაც.

3. კოლეჯის მიერ ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით კოლეჯი ჩაერთვება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

დაწესებულებას თავისი რეგულაციებით გათვალისწინებული აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის ასახვა და სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსის სამუშაო აღწერილობა ითვალისწინებს რეესტრის წარმოების მოვალეობის შესრულებას.

4.კოლეჯი დროულად მიაწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და ითანამშრომლებს მათთან. მაგალითად, მათ კარგად ითანამშრომლეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფთან. დროულად მიაწოდეს გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის საქმისწარმოების წესისა და საქმისწარმოების ფორმების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 2021 წლის 05 მაისის №23 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის დირექტორის 26 აპრილის №21 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 აპრილის №17 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის (2021-2027)და 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის №8 ბრძანება;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:
☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

1. დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე - http://www.GC. edu.ge განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის შესახებ. ატვირთულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მარეგულირებელი დოკუმენტები. განთავსებულია კატალოგი - ანონსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე. ცალკე ველადაა გამოყოფილი ხარისხის უზრუნველყოფა და სტუდენტური სერვისები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით. ამ ეტაპზე რადგან კოლეჯს ავტორიზაცია არ აქვს მოპოვებული, ვებ გვერდზე საწყის ეტაპზე განათავსეს მაქსიმალურად ის ინფორმაცია რაც საჭირო იყო ავტორიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, რაც ექსპერტებს მისცემდა ვებ გვერდზე მარტივად ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობას. ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის მართვაზე და ინფორმაციის გონივრულ ვადებში განთავსებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. სადაც ამ ეტაპზე თანამშრომელი არ არის აყვანილი და ვაკანტურია. ვებ გვერდის ტექნიკურ მართვასა და ასევე, ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელია IT სამსახურის სპეციალისტი, რაც დასტურდება მისი სამუშაო აღწერილობითა და მასთან ინტერვიუთი. ამ ეტაპზე ის უზრუნველყოფს ვებ გვერდის მართვას.

2. დაწესებულებას მისიაში განსაზღვრული არ აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება.

3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 22 ივნისის №33 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც არეგულირებს შიდა და გარე საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტიანი გამოყენებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომის საკითხებს, განსაზღვრავს კოლეჯის თანამშრომელთა ვალდებულებას ითანამშრომლონ საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან და დროულად და სწორად მიაწოდონ მოთხოვნილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

(ქალაქი, წელი)

ინფორმაცია. ამ ეტაპზე დაწესებულებას ვებ გვერდზე განთავსებული აქვს ანონსი იმის თაობაზე, რომ აპირებს ,,საფინანსო სერვისების“ პროგრამის დამატებას.

4. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების მიხედვით კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი არის პასუხისმგებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის შემუშავებაზე. ამ ეტაპზე კატალოგი ანონსის სახით მოიცავს ინფორმაცია საფინანსო სერვისების პროგრამის თაობაზე. პროფესიული პროგრამების კატალოგი განახლდება წლიურად და ასევე, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ახლად შემუშავებული, დამატების მიზნით საავტორიზაციოდ წარდგენილი პროგრამები ვებგვერდზე განთავსდება ანონსის სახით, ხოლო დამატების შემდეგ მოხდება მათი პროგრამების კატალოგში ასახვა.

5. კოლეჯის თვითშეფასებითა და ინტერვიუირებით დგინდება დაწესებულების მზაობა, რომ ის განახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა არხის საშუალებით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება გამოიყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებულია დემინგის ციკლის ფარგლებში ვებ გვერდის ფუნქციონირების შეფასება და შეფასების შედეგები წარედგინება დირექტორს შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგეგმვისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 22 ივნისის №33 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 აპრილის №17 ბრძანება;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- დაწესებულების ვებ გვერდის დათვალიერების შედეგი;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დირექტორის განმარტებით, რომელიც ამავე დროს არის კოლეჯის დამფუძნებელი ორგანიზაციას გააჩნიათ კერძო შემოსავლები. აქვთ გრანტები, აპირებენ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებასაც და უზრუნველყოფილი იქნება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კოლეჯის საფინანსო მიმართულების თანამშრომელი ჩართული იყო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. ყოველი წლის ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმაც შედგება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად. დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში მითითებული აქვს ფინანსური რესურსების საჭიროებაც რაც გაღებული იქნება კოლეჯის ბიუჯეტიდან. დირექტორის განმარტებით გააზრებული აქვთ, რომ რამდენიმე წელი მოგება ვერ ექნებათ, მაგრამ უკვე გამზადებული აქვთ სხვა პროგრამაც და ასე ეტაპობრივად გაზრდიან კოლეჯის ფინანსურ სიმძლავრეს.

2. კოლეჯის თვითშეფასებითა და ბუღალტრის განმარტებით, საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ფინანსური რესურსით. საოპერაციო ხარჯები გაითვალისწინეს პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებისას, რაც დასტურდება პროგრამის ბიუჯეტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

3. კოლეჯის ფინანსური სამსახურის ფუნქციებით განსაზღვრულია მათი ვალდებულებები. მათ შორის: ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა, აღრიცხვა-ანგარიშგების მონიტორინგი, საბიუჯეტო პროცესის რეგულირებისათვის წინადადებების შემუშავება, რომლებიც განსაზღვრავს კოლეჯის ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულებაზე მონიტორინგის საერთო პრინციპებს და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა გამიჯვნა-განაწილების ფორმებს, საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების სისტემატური ზედამხედველობა.

დაწესებულება აცხადებს მზაობას თავისი საქმიანობა განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმითაც გათვალისწინებულია ავტორიზაციის სტანდარტებთან ფინანსური რესურსების შესაბამისობის დადგენა.

4.დირექტორის განმარტებით ეს არის კერძო ორგანიზაცია და მისი როგორც დამფუძნებლის ინტერესშია ფინანსური მდგრადობა. შესაბამისად, დაწესებულება მოახდენს სათანადო რეაგირებას ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მაძიებლის თვითშეფასების განაცხადით წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 აპრილის №17 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა მექანიზმების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურისა და გამოყენების ფორმების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 აპრილის №19 ბრძანება;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში BasicVocational Qualification in Finance Service
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქ. N 5
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები	

88

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

(პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	51 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**შეესაბამება**	**მეტწილად შეესაბამება**	**ნაწილობრივ შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

(*ქალაქი, წელი)*

XI. სტანდარტის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 აპრილის N20 ბრძანებით დამტკიცებულია შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია, რომლითაც განსაზღვრულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და დამატების ინიციატორი შესაძლებელი იყოს: კოლეჯი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვა. ახალი პროგრამის დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით - ,,პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება'', შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებებიდან გამომდინარე. პროგრამის დამატების ინიცირებას იხილავს კოლეჯის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. დირექტორი ამტკიცებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, რომელშიც შედიან: დარგის სპეციალისტები, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, მოწვეული ექსპერტები და სხვ.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება ,,ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის'' და ,,ქალაქ რუსთავის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის'' ანალიზს, რომლის თანახმად, რეგიონში ეკონომიკის განვითარების დადებითი ტენდენციებია, გაზრდილია ბანკების, ასევე მიკროსაფინანსო ობიექტებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

სავაჭრო ცენტრების ფუნქციონირება, რაც თავის მხრივ განაპირობებს კვალიფიციური კადრების აუცილებლობას, მათი შრომის ბაზარზე შემდგომი დასაქმების მიზნით.

მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის პროფილი, მახასიათებლები და მისი როლი განათლების სისტემაში. მისიის მიხედვით, დაწესებულებას სურს პროფესიული განათლების დანერგვით კონკურენტუნარიანი კადრი შემატოს რეგიონს. კერძოდ, მისიის მიხედვით, დაწესებულება ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალ კონკურენტული კადრების მომზადება ბიზნესისა და მომსახურების მიმართულებებით. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების განხორციელება, ასევე დამსაქმებლის ინტერესის გათვალისწინებით და ჩართულობით პროგრამების შემუშავება და განხორციელება. შესაბამისად, დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, არანაკლებ 17 წელი. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 14 აპრილის №18 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

დამტკიცებულია შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მიხედვით (მუხლი 14 - ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო პროგრამაზე“) მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სპეციფიკის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებისა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი- ,,საფინანსო სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება‘’. კოლეჯის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მოთხოვნილი კვოტა შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს - ორ ცვლაში.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემო. საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულების დამტკიცების შესახებ“ შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის N 3 ბრძანების დანართის მე -7 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ს“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

ქვეპუნქტის შესაბამისად, დირექტორი განიხილავს და ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს. შესაბამისად, პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ. კერძოდ, პროგრამა დამტკიცებულია 2021 წლის 14 ივლისის №39 ბრძანებით და საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის, ასევე, სამოქალაქო განათლების მოდულის ახალი რედაქციით მასში ასახვის მიზნით, პროგრამაში ცვლილება შევიდა 2021 წლის 28 ოქტომბრის №46 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. ის შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებას - საფინანსო სერვისები.

8. საგანმანათლებლო პროგრამა - საფინანსო სერვისები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის შემუშავების საფუძველი შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა. მოდულების ბლოკში, გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული (A2), რომლის მიზანია არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს არაქართულ ენაზე შერჩევის გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 აპრილის N20 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულების დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №3 ბრძანება;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი - ,,საფინანსო სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“;
- ,, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის N 8 ბრძანება;
- ,, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021წლის 14 აპრილის N18 ბრძანება“;
- ,, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამა ,,საფინანსო სერვისების“ დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 14 ივლისის N39 ბრძანება (ცვლილების ბრძანება №46; 28 ოქტომბრის).
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

96

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(*ქალაქი, წელი)*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში და სარგებლობაში არსებული, თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ ფართებში, ასევე, პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით.

დაწესებულების A ტიპის გარემო განთავსებულია 99.76 კვ. მ ფართში (შენობა- შიდა ნუმერაციით N13/1), აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და გათვლილია 50 სტუდენტზე (დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს კვოტა 40 პროფესიულ სტუდენტზე; ჯგუფში 20-20 სტუდენტი).

B ტიპის სასწავლო გარემო განთავსებულია შენობის მეორე სართულზე. გამოყოფილია ორი B გარემო, გათვლილი 10-10 პროფესიულ სტუდენტზე (22 კომპიუტერით, პროექტორით, პრინტერით). დაწესებულება გეგმავს ჯგუფის ორად გაყოფას იმ მოდულების/კომპონენტების ნაწილში სადაც საჭიროა B გარემო და ეს გათვალისწინებული აქვთ პროგრამის ბიუჯეტში. მიუხედავად იმისა, რომ მოწყობილია პანდუსი, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით (ვიზუალური დათვალიერებითაც დასტურდება) შესაბამისი სტატუსის მქონე პირის ჩარიცხვისას სასწავლო კორპუსის (შენობა №08) პირველ სართულზე არსებულ ფართს გამოიყენებს B ტიპის სასწავლო გარემოდ და იქ მოაწყობენ B ტიპის სასწავლო გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან, რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ და „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით.

„საწარმოო პრაქტიკის “ მოდულთან დაკავშირებით გაფორმებულია ხელშეკრულებები სს „ლიბერთი ბანკთან“ და შპს ,,ფენიქსთან“. შპს ,,ფენიქსთან“ ასევე დაგეგმილია მოდულის „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ პრაქტიკული კომპონენტის სწავლება.

შპს ,,ფენიქსთან“ დადებული ხელშეკრულების მიხედვით, პრაქტიკის კომპონენტი განხორციელდება ერთდროულად 30 პროფესიულ სტუდენტთან, მისამართზე: ქ. რუსთავი მესხიშვილის ქ. N5 და ასევე სხვა ქსელებში. ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ერთ-ერთი ობიექტი და გაესაუბრნენ შპს ,,ფენიქსის“ წარმომადგენელს. ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ პრაქტიკის ობიექტი არის გამტარუნარიანი მიიღოს სტუდენტთა ზღვრული ოდენობა (40 პროფესიული სტუდენტი), სხვადასხვა ლოკაციაზე და უზრუნველყოფილი იქნას მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით სს,,ლიბერთი ბანკთან“ დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ბანკს ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს, ქ. რუსთავში კოსტავას N 34 - ში განთავსებულ ბანკში, ასევე სხვა ფილიალებში. ბანკის წარმომადგენელს ექსპერტები გაესაუბრნენ დისტანციურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

და წარმომადგენელმა დაადასტურა საწარმო პრაქტიკაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების მზაობა სხვადასხვა ფილიალებში.

კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, საწარმოო პრაქტიკის მოდულის ფარგლებში განხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა როტაცია ბანკსა და სავაჭრო ობიექტებს შორის. ***რეკომენდებულია დაწესებულებამ საწარმოო პრაქტიკის მოდულში ასახოს დამატებითი ინფორმაცია მოდულის მოდულის განხორციელების აღნიშნულ მიდგომასთან დაკავშირებით.***

რაც შეეხება მოდულს, ,,სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი", რომლის პრაქტიკული კომპონენტიც უნდა განხორციელდეს პრაქტიკის ობიექტებზე, სასწავლო გეგმის კვირეული დატვირთვა იძლევა რამდენიმე ობიექტზე ერთდროულად მისი განხორციელების შესაძლებლობას.

რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებს/აღჭურვილობას, რომელიც პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა დანარჩენი მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის გამოიყენება, დაწესებულებაში ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი და დადასტურდა მათი არსებობა. C გარემოში - იმიტირებულ ბანკში წარმოდგენილი იყო პროგრამაში მითითებული აუცილებელი ინვენტარი და თვალსაჩინოებები. მათ შორის: ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი, ფულის სათვლელი მანქანა, საინკასაციო ჩანთის მულაჟი, ქისის მულაჟი, შტამპები (ტვიფრებით: ნომრით, „განაღდებულია", „არ ექვემდებარება დაბრუნებას", „ასლი დედანთან სწორია"), თემატური თვალსაჩინოებები, როგორებიცაა: შემოსავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

ორდერი; გასავლის ორდერი...), ასევე გამომთვლელი, ლუპა. ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია (სარგებლობის დოკუმენტი).

ვიზიტის ფარგლებში არ დადასტურდა საბანკო სატესტო პროგრამის ფლობა. კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით, იგეგმება პროგრამა „ალტას“ დემო ვერსიის გამოყენება სასწავლო მიზნებისათვის და პროცესი დაწყებულია. წარმოადგინეს კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის №47 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით შესრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 29 დეკემბერი (დანართი №3). ასევე, წარმოდგენილია შპს „ალტა სოფთვეართან“ გაფორმებული 2021 წლის 09 დეკემბრის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საგანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლება, პრაქტიკული უნა- ჩვევების განვითარება, სტაჟირება (დანართი №4). დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, კომპანია მათ მიაწოდებს პროგრამას. რაც ამ ეტაპზე არ არის უზრუნველყოფილი. შესაბამისად, კომპონენტი ფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

2. საგანმანათლებლო პროგრამით „საფინანსო სერვისები“ განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 5 (ხუთი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 4 (ოთხი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამას დანართის სახით თან ახლავს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

(*ქალაქი, წელი)*

ექსპერტთა მოსაზრებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

4. დისტანციურად განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ჩაუტარდათ დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ სამუშაო შეხვედრები სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების დარგობრივი კომპეტენცია. თუმცა საჭიროებენ მოდულური სწავლების ფარგლებში გადამზადებას, რისთვისაც აქვთ მზაობა. კოლეჯის 2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მასწავლებელთა ტრენინგები.

5. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე საბანკო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან. კოლეჯს დამტკიცებული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და აცხადებს მზაობას იმუშაოს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მიიღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

(ქალაქი, წელი)

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. სადაც ასევე, ხელმისაწვდომია ქსელში ჩართული ხუთი კომპიუტერი. ხელმისაწვდომია ასევე, ელექტრონული რესურსები.

6.,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 07 მაისის №24 და ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 მაისის №25 ბრძანებებით დარეგულირებულია სსსმ და შშმ სტუდენტის საჭიროებების მხარდაჭერის საკითხები. პროგრამის ხელმძღვანელი სსსმ და შშმ სტუდენტს იდენტიფიცირებული საჭიროების გათვალისწინებით შეუდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. სტრუქტურული ერთეულების დებულების მიხედვით აღნიშნულ საკითხებზე პასუხისმგებლობა აკისრია სასწავლო პროცესის სამსახურს.

7. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები, სადაც რენტაბელურობის ზღვარად მიჩნეულია ჯგუფში 20 (ოცი) პროფესიული სტუდენტი, ჯამში - 40 პროფესიული სტუდენტი. საპროგნოზო ბიუჯეტში გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურება, მასალა- ნედლეული, პროფესიული განვითარება და კომუნალური ხარჯები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სასწვლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021წლის 14 აპრილის N 18 ბრძანება;
- ,, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამა ,,საფინანსო სერვისების“დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 14 ივლისის N 39 ბრძანება;
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებებით; N 26175/021;25.05.21წ. შპს „ფენიქსთან“; N 26427/021; 06.10.21წ სს „ლიბერთი ბანკთან;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 07 მაისის №24 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 მაისის №25 ბრძანება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ ფორმით (დანართი 3);
- დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ წარდგენილი ფორმით (დანართი 4);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №3 ბრძანება;
- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №5 ბრძანება;
- პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული პროგრამების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, პირადი საქმეებით, ინტერვიუ;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი (დანართი 5);
- ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებით;
- რესურსების ფლობის დამადასტურებელი ჩუქების ხელშეკრულებები;
- ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულები;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 და მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმების დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის N 47 ბრძანება;
- შპს „ალტა სოფთვეართან“ გაფორმებული 2021 წლის 09 დეკემბრის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელთა ინტერვიუს შედეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

(ქალაქი, წელი)

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს ხელშეკრულებით განსაზღვრული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მ/შ). დაწესებულების დირექტორის მიერ (2021 წლის 21 აპრილის N20 ბრძანება) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია. რომლის თანახმად, პროგრამის განვითარება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

შეფასება ხორციელდება PDCA პრინციპით (P(plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) - შეამოწმე; A (act) - განავითარე). ინსტრუქციის მე-10 მუხლის შესაბამისად, რომელიც პროგრამის შეფასების მექანიზმებს ითვალისწინებს, გაწერილია თუ რა პერიოდულობით და ვის მიერ განხორციელდება პროგრამის შეფასება. წარმოდგენილია პროგრამის შეფასების ფორმა. შეფასება ითვალისწინებს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების და კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდების გამოყენებას. მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას, რომლის შედეგები ხარისხის სამსახურის მიერ წარედგინება დაწესებულების დირექტორს შემდგომი ინტერვენციისთვის. კვლევის შედეგები აისახება სპეციალურ ფორმაში. კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით

2. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (ბრძ. N 19; 19.04.21) დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა მექანიზმები. შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და გამოკითხვის ფორმები, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს, პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სხვ. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს გამოიკვეთა, რომ რადგან ამ ეტაპზე აქვთ ერთი პროგრამა, ეს მათ საშუალებას მისცემს, რამდენიმე შედეგის დადასტურების შემდგომ მოახდინონ პროცესის შეფასების შესწავლა უფრო დეტალურად და ამის შემდგომ უფრო ნათლად მიხვდებიან, როგორ განავითარონ პროცესი. ვინაიდან კოლეჯი არის ახალი და ახლა იწყებს საქმიანობას, მათთვის არის გამოწვევა და ისინი ამას ღიად აფიქსირებენ. ასევე პროცესიდან გამომდინარე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

განსაზღვრავენ დამატებით საჭიროებებს - ეს იქნება დამატებითი ადამიანური რესურსის განსაზღვრა, მათთვის კვალიფიკაციის ამაღლების თუ სხვა საჭიროებების შესახებ საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.

ავტორიზაციის შემდგომ დაგეგმილი აქვთ კოლეჯის პიარი. ასევე, გამოცდილების გაზიარების მიზნით გეგმავენ თანამშრომლობას იმ კოლეჯებთან რომლებიც უკვე ახორციელებენ საფინანსო სერვისების პროგრამას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 აპრილის N20 ბრძანება;
- ,,ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა მექანიზმების, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და გამოკითხვის ფორმების დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 აპრილის N19 ბრძანება;
- ,, შპს. იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის N5 ბრძანებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან (მ/შ) დადებული ხელშეკრულებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ინტერვიუს გზით;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

1. პროგრამა ,,საფინანსო სერვისები'' საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით და 13 პროფესიულ მოდულს, 35 კრედიტის მოცულობით. საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 52 კრედიტი. სავარაუდო ხანგრძლივობა - 9 თვე. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 36 კვირაზე გაწერილი სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მეცადინეობებისა და შეფასებისთვის დათმობილ საათებს. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად მოახდენს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში, ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით არსებულ რეგულაციებში. მზაობა დასტურდება დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ, სწავლება მიმართულია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების დანერგვაზე. დაწესებულების ხელმძღვანელთა და პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათი მზაობა პროფესიულად განვითარდნენ და დანერგონ სხვადასხვა სწავლების მეთოდები პრაქტიკაში.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯს გაწერილი აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

(ქალაქი, წელი)

მარეგულირებელ დოკუმენტებში (მუხლი 13) სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე განსახორციელებელი მექანიზმები.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორებთან დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან (სს ,,ლიბერთი ბანკი“ და სპს ,,ფენიქსი“).

კომპანიათა მზაობა თანამშრომლობასთან დაკავშირებით დადასტურებულია დოკუმენტაციით და ინტერვიუს გზით.

6.პროგრამა - საფინანსო სერვისები დამატებით უსაფრთხო გარემოს შექმნის მექანიზმს არ საჭიროებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021წლის 14 აპრილის N 18 ბრძანება;
- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 14 ივლისის N39 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საფინანსო სერვისების“ სასწავლო გეგმით;
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებებით; N 26175/021;25.05.21წ. შპს „ფენიქსთან“; N 26427/021; 06.10.21წ სს „ლიბერთი ბანკთან;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

(ქალაქი, წელი)

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 აპრილის N22 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის / ვერიფიკაციის მექანიზმი“. ასევე, კოლეჯის დირექტორის 2021წლის 14 აპრილის N18 ბრძანებით დამტკიცებული ,, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

დოკუმენტი“. რომლის თანახმად, სტუდენტის შეფასება ეფუძნება შეფასების შემდეგ პრინციპებს : ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიექტურობა.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას და გასაჩივრების პროცედურას. კერძოდ, შეფასებიდან რამდენ ხანში აქვს სტუდენტს აპელაციის უფლება, რა ფორმით აკეთებს ამას და ვის მიმართავს; შემდეგ რა ნაბიჯებს დგამს დაწესებულება; ვინ შედის სააპელაციო კომისიაში და სხვ.

2. დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის მიერ 2021 წლის 28 აპრილის N22 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის / ვერიფიკაციის მექანიზმი'' , რომლის თანახმად, ვერიფიკაციის მიმართულებებია:

ა) შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;

გ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია

დოკუმენტის თანახმად, შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს). ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას: დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან. ვალიდაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვ. ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, სამართლიანობის, სიმარტივის, გამჭვირვალობისა და მოქნილობის უზრუნველსაყოფად ვერიფიკაციის პროცესს კოორდინაცია უწევენ კოლეჯის ხარისხის ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურები. ინტერესთა კონფლიქტი არ იკვეთება.

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. შესრულების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - ,,სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ“ თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისთვის, რაც თავის მხრივ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, დაეხმარება მათ სტუდენტთა საჭიროებების კვლევისას და შემდგომში შესაბამისი სტუდენტზე მორგებული, ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვისას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021წლის 14 აპრილის N18 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის / ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 აპრილს N22 ბრძანება;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

XII. ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	
პროფესიული განათლების დონე	

116

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	
პროგრამის განხორციელების ენა	
პროგრამის განხორციელების ადგილი	
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	
სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართები:

1. ვიზიტის დღის წესრიგი;
2. ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-5 (5.1.2 კომპონენტი) და მე-2 (2.2.1 კომპონენტი) სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 2021 წლის 29 ნოემბრის №47 ბრძანება;
3. ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-5 (5.1.2 კომპონენტი) და მე-2 (2.2.1 კომპონენტი) სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმების დამტკიცების შესახებ“ იაკობ გოგებაშვილის ქართული კოლეჯის 2021 წლის 29 ნოემბრის №47 ბრძანება;
4. შპს „ალტა სოფთვეართან“ გაფორმებული 2021 წლის 09 დეკემბრის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)

20.12.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



(ქალაქი, წელი)